1 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I], ი

2023 ოთხშაბათი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

მთელი ძალით შეჭღაღადონ ღმერთს იონ 3,8

დიდმარხვის ჟამი, მამის გულში მთელი არსებით დაბრუნების ჟამია, რამეთუ არსებითია წუთისოფლის ხსნა...
დიადია ჩვენი ღმერთი!
იგი შეისმენს ჩვენს ვედრებებს.
იესო, მინდა შენი ვიყო და ჩემი ცხოვრებით მოგიხმო: მწამს, რომ დანარჩენს შენ თავად მოიმოქმედებ!

2 მარტი

2023

დიდმარხვის I კვირა [I], ი

ხუთშაბათი

ესთ 4,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

აკაკუნეთ და გაგეღებათ მთ 7,7

ზოგჯერ არ ვაკაკუნებთ და არ ვითხოვთ მამის დახმარება, მის მიმართ მწირი ნდობის გამო...! ან იქნებ გვითხოვია, რაკი სხვა გზა არ გვქონია, თუმცაღა უიმედოდ: ეს არ არის რწმენა. არადა, როგორ გაიხარებდა მამა ჩვენდამი ზრუნვით..

გავაძლიერებთ მის მიმართ რწმენასა და ნდობას ამ დიდმარხვის ჟამს? ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტად ახალ ელფერს შეიძენს!

3 მარტი

2023 პარასკევი

ეზ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

დედის დღე

თუ თქვენი სიმართლე... ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში მთ 5,20

სემინარიის ერთი სტუდენტი მასწავლებლის წიგნს ბეჭდავდა თანაკურსელებისთვის. არ იქნება "სამართლიანი", თუკი უფასოდ გააკეთებ!" - უთხრა მავანმა. ამის მერე, საზღაურსაც უხდიდნენ, მაგრამ გაწეული მსახურებიდან მიღებული სიხარული სადღაც გაქრა. ამ „სამართლიანობას" აღარ ჰქონდა ის განცდა, რასაც გვანიჭებს მამის ძე, ვისაც მუდამ უანგაროდ უყვარს!

4 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I], ი

წმ. კაზიმირი, +1484

2023 შაბათი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

თავისი მზე ამოჴსყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე მთ 5,45

ღმერთს ყოველივე ძალუძს, გარდა უსიყვარულობისა. ამიტომაც უყვარს მას ყველა, კარგიც და ცუდიც, ყველანი განსხვავებულად, როგორც საჭიროებენ ხსნას. მე კი, ვინც ჩემი მანკიერებისდა მიუხედავად შემიყვარა მამამ, მხოლოდ კარგი ადამიანები ხომ არ მიყვარს?

5 მარტი

დიდმარხვის II კვირადღე, «ა», [II], ი

2023 ჯვირა

დაბ 12,1-4; ფს 32; 2ტიმ 1,8-10; მთ 17,1-9

ამბობს ხმა ღრუბლიდან:
"ეს არის ჩემი საყვარელი ძე" მთ 17,5

ჩვენ უკვე დიდმარხვის მეორე კვირას შევუდექით, ამ გზას იესოს სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოში შევყავართ. ჭეშმარიტად რომ დავიცვათ ეს ჟამი, ყოვლად არსებითია არ დავკარგოთ რწმენა მაშინაც, როცა ყველაფერი, ჩვენს შიგნით თუ გარეთ, გზის შეცვლას გვაიძულებს. დღესაც უწინდებურად გაისმის ჩვენთვის მამის მანუგეშებელი სიტყვები, როგორც მაშინ იმ სამი მოწაფისთვის: „ეს არის ძე ჩემი... უსმინეთ მას" მუდამ, და უშიშრად.

6 მარტი

2023

დიდმარხვის II კვირა [II], ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოღაეღნი, VIს, წამებულნი

ორშაბათი

დან 9,4–10; ფს 78; ლკ 6,36–38

რომელი საწყაოთი მიუწყავთ,
იმავეთი მოგეწევებათ ლკ 6,38

**როცა ჩემს ძმას მივუტევებ, მამას
"უფლებას ვაძლევ" მეც მომიტევოს.
რარიგ კარგია გასცე გულმოწყალება:
ეს ზეციერი მამის მკლავებში
ყოფნას ნიშნავს!**

7 მარტი

2023

დიდმარხვის II კვირა [II], ი
მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა,
წამ. +202/203

სამშაბათი

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება მთ 23,12

ყოველთვის მიჭირს ჩემი აზრის უგულებელყოფა და სხვისი აზრის მიღება: რატომღაც სისუსტედ ვთვლი, ან მასევდიანებს. არადა, იესო მუდამ სიხარულით ავსებს იმ ადგილს, რაც მისი სიყვარულის გამო დავთმე.

8 მარტი

2023

დიდმარხვის II კვირა [II], ი

წმ. იოანე ღმრთისა, ბეჰი +1550

ოთხშაბათი

იერ18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

ქალთა საერთაშორისო დღე

გამიგონე, უფალო! იერ 18,19

ასე გოდებდა იერემია, როდესაც დევ-
ნიდნენ.
ეს ჩვენი გოდებაცაა და შეგვიძლია
უფალს მივმართოთ განსაცდელის
წუთებში: ნუ მოველით, რომ ყველა-
ფერი ჯადოსნურის გზით მოგვარდება,
მუდამ გვქონდეს იმის იმედი, რომ იესო
ჯვრის გზაზეც გაგვამტკიცებს და ჩვენთან
ერთად ივლის.

9 მარტი

2023

დიდმარხვის II კვირა [II], ი

წმ. ფიანცისკა ჩომაედი, მონაზონი, +1440

ხუთშაბათი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

მე ფუფალი ვიკვლევ გულს და
ვცდი თირკმელთ იერ 17,10

მამაო, შენ სიყვარულით და სიყვარული-
სათვის შემქმენ; ხოლო შენ – იესო, ჩემს
გამო ეცვი ჯვარს, რათა ჩემს გონებას
და ჩემს გულს ჩაწვდე: ასე ჭპოვებს ჩემი
სიცოცხლე მეტ სილამაზეს, მეტ თავი-
სუფლებას, მეტ სიხალისეს. მომხედე,
უფალო, და მიხსენი მე!

10 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

2023 პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

ღვთის სასუფეველი მიეცემა ერს, რომელიც გამოიღებს ნაყოფს მთ 21,43

იესო, მეც ამ ახალი ერის, ამ ეკლესიის ნაწილი ვარ, ჯვარზე შენი შეწირული სიყვარულით რომ იშვა. დაე, მუდამ მანიჭებდე შენი მორჩილების სულს, რათა შენს ახალ ხალხთან ერთად „გამოვასხა ნაყოფი“, დიდსულოვნებით აღვასრულო საქმენი, რომლებიც განადიდებენ მამაზეციერს, ვისაც თითოეული თავისი შვილის სიხარულის სწადია.

11 მარტი

2023

დიდმარხვის II კვირა [II], ი

შაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

თუნდა ვხარობდეთ და
ვმხიარულობდეთ ლკ 15,32

„უნდა“: იესო, ვინც შენთან და შენთვის ცხოვრობს შენს წმიდა ეკლესიაში, ძეობრივი წყალობა მიეცა მორჩილებით, კურთხევით. მის გრძნობებს შენი სიყვარულის სული მართავს, იღიმის სიყვარულით, გოდებს სიყვარულით, არად დაგიდევს რას გრძნობს.

12 მარტი

დიდმარხვის III კვირადღე, «ა», [III], ი

2023 ჯვირა

გამ 17,3-7; ფს 94; რომ 5,1-2.5-8; იო 4,5-42

მე ვარ, ვინც შენ გელაპარაკება იო 4,26

ცოდვილი, გზაარეული და მწყურვალე სამარიელი ქალის წინაშე, ის დგას, ვინც ყველა წყურვილს კლავს: იესო, დაღლილი, მაცხოვარი.

„მე ვარ, ვინც გელაპარაკები“: მადლობა, იესო, რომ გზაზე შემხვდი; იმ წუთიდან მოყოლებული არასოდეს მომწყურებია!

13 მარტი

2023

დიდმარხვის III კვირა [III], ი

ორშაბათი

4 მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30

აჰა, დავრწმუნდი, რომ მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ისრაელშია ღმერთი 4 მეფ 5,15

ნაამანს, მტრის არმიის მეთაურს, აღარ სწამს თავისი ღვთაებების, მან უკვე ირწმუნა ერთი ღმერთი, ისრაელის ხალხის ღმერთი. ამ რწმენამდე მაშინ მივიდა, როცა იგრძნო, რომ ამ ღმერთს ნამდვილად უყვარს მოწყალების გაღება და თვით მტრების გადარჩენაც სწადია. მამაო, მეც განმიცდია შენი გვერდით ყოფნა, გიყვარვარ და გსურს დღენიადაგ განწმინდო და გარდასახო ჩემი ცხოვრება: მადლიერი ვარ და გემორჩილები.

14 მარტი

2023

დიდმარხვის III კვირა [III], ი

სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

გვიხსენი შენი სასწაულებით დან 3,43

**ურჩმა ბავშვმა ძვირფასი სათამაშო დაა-
მტვრია... ვისთან წავა, თუ არა მამასთან?
მოდით, ვისწავლოთ მისგან: დამწუხ-
რებულნი, რამეთუ ყურად არ ვიღეთ
მისი სათნო დარიგებები, მაინც მასთან
მივდივართ, მხოლოდ ჩვენს მამასთან:
მისი სიყვარული უსასრულოა და ძალუძს
ჩვენთვის სასწაულის მოხდენა!**

15 მარტი

2023

დიდმარხვის III კვირა [III], ი

ოთხშაბათი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

ვინც ასრულებს და ასწავლის, მას დიდი დაერქმევა ცათა სასუფეველში მთ 5,19

იესო, შენ ჯერ კიდევ დედის მუხლებზე და წმინდა იოსების სახელოსნოში გამოავლინე წმინდა წერილისადმი სიყვარული. აწ, ჩვენც შეგვაცნობ ამ სიყვარულს: ეს საყვარელი შვილების თავმდაბლობაა, რომლებიც თავიანთი მამის სიბრძნეს ეზიარებიან, ვინც მათ ჭეშმარიტი სიცოცხლის წყაროსკენ მიუძღვის.

16 მარტი

2023

დიდმარხვის III კვირა [III], ი

(3.III) წმ. იოანე IV (V)
ოქროპირი კათაღიკოსი, +1048

ხუთშაბათი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

ვინც ჩემთან არ აგროვებს,
ის ფანტავს ლკ 11,23

იესო, შენ ძლიერ მკაფიოდ გვესაუბრები და მე გენდობი შენ: დღეს შენთან ერთობაში შევასრულებ ჩემს მოვალეობას, ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. არ მინდა ფუჭად ჩაიაროს ჩემმა ძალისხმევამ!

17 მარტი

2023

დიდმარხვის III კვირა [III], ი

წმ. პატრიციუსი, ეპ., +~461

პარასკევი

ოს14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

ჭირველი არის: "ისმინე, ისრაელო!" მარ 12,29

„ისმინე" - ეს ძველი აღთქმის ძირითადი სიტყვაა.
იესოც იგივეს მიმეორებს: ვიდრე პასუხს გავცემდე, ვიდრე ნაბიჯს გადავდგამდე, ყოველივეზე უწინ: „ისმინე"! არის ის ერთი, ვისაც უყვარხარ და ვინც წინ მიგიძღვის. სმინე! უწინარესად, ისმინე!

18 მარტი

2023

დიდმარხვის III კვირა [III], ი

წმ. კიჰიღე იეჰუსაღემეღი, ეპ. და მოძ. +386

შაბათი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი ლკ 18,13

ეს მისი სიტყვებია, ვინც მეფე დავითის მსგავსად, საკუთარ ცოდვას აღიარებს და ღმერთს წყალობას სთხოვს. სინდისი ქეჯნის და თავი მაღლა ვერ აუწევია. ეს გულწრფელი ლოცვაა და მეც ხშირად მითქვამს იგი იესოსთვის, მისი წყალობით შემეწევა იესო, რომ მის გვერდით ვიგრძნო თავი, არაფრის და არავისი არ მეშინოდეს.

19 მარტი

დიდმარხვის IV კვირადღე, «ა», [IV], 3

2023 ჯვირა

1მეფ 16,1.4.6-7.10-13; ფს 22; ეფ 5,8-14; იო 9,1-41

შენ გინახავს იგი და,
ვინც შენ გელეპარაკება, ისაა იო 9,37

მოციქული იოანე ბრმადშობილ კაცთან იესოს გამოცხადებაზე საუბრობს: თავად იესომ აუხილა მას თვალები ტალახით და უბრძანა, წასულიყო სილოამის აუზში განსაბანელად. ამ კაცისთვის ყველაზე დიდი განძი არა თვალის გახელა იყო, არამედ ის, რომ იესო დაინახა. მისი სახის ნათელმა სრულად შეცვალა მისი ცხოვრება.

20 მარტი

წმ. იოსები,
ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე დდ, [ს], თ

2023 ორშაბათი

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22;
მთ 1,16.18-21.24, ან ლკ 2,41-51

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

დაარქმევ მას სახელად იესოს მთ 1,21

მადლობა, იესო, შენი სახელის გამო! როცა ჩემი მეგობრისგან მოვისმინე სიყვარულით და პატივისცემით წარმოთქმული შენი სახელი, დიდი სურვილი გამიჩნდა, უფრო მეტად გამეცანი, წამეკითხა შენი სახარება და შენი მცნებებით მეცხოვრა. მადლობა, რომ ამ გზამ შემიცვალა შეხედულება რელიგიაზე, რასაც მხოლოდ ტრადიციის მიმდევრობად ვთვლიდი: მე პირადი ურთიერთობა გავაბი შენთან, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო. მადლობა წმინდა იოსებს, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულით წარმოთქვამს შენს სახელს.

21 მარტი

2023

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

სამშაბათი

ეზ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

აიღე შენი სარეცელი და გაიარე იო 5,11

ერთ ახალგაზრდას რამდენიმე დღე აწუხებდა თავბრუსხვევა, ძალიან განიცდიდა, ვინაიდან მნიშვნელოვანი მსახურება უნდა დაეწყო. ექიმებთან ვიზიტების და ინტენსიური მკურნალობის მიუხედავად, მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. მაშინ, იესოს შევთხოვეთ შემწეობა. მეორე დღესვე დაეწყო გაუმჯობესება. მადლობა, აღმდგარო იესო, რამეთუ შეისმენ მათთვის აღვლენინ ლოცვას, ვინც გულით გემსახურება.

22 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

2023 ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

ვისაც ჩემი მომავლინებელი სწამს, მას აქვს სათეკუნო სიცოცხლე იო 5,24

იესო იუდეველთა მეთაურებს ესაუბრება, მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ განკურნა დავრდომილი. კიდევ უფრო წარმოუდგენელი და მკრეხელურად ჟღერს მათთვის, რომ ღმერთს „თავის“ მამას უწოდებს. სინამდვილეში, არადა, სწორედ ამ საიდუმლოს გამჟღავნება სურს იესოს! ერწმუნონ მას და წმინდა წერილს, რომელიც მამის სიტყვა და მარადიული სიცოცხლეა.

23 მარტი

2023

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

(10.III) წმ. ღიხსი იოანე ხახულელი, მონაზონი, X-XIსს; წმ. ტუხიბიუს მონგჩოვენოელი, ეპ., +1606

ხუთშაბათი

ეზ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

მე მოვედი მამაჩემის სახელით იო 5,43

იესო, შენა ხარ მამა ღმერთის საყვარელი ძე. ამქვეყნად ადამიანის სახით მოხველ, მას დაემორჩილე სიყვარულით და ეს მორჩილება ჯვარზე სიკვდილამდე შეინარჩუნე. დაგვეხმარე ჩვენც, რათა ისე ვიცხოვროთ, როგორც შენს ნამდვილ შვილებს შეჰფერით, გემსგავსოთ სიყვარულში, თუნდაც ამისათვცის მსხვერპლის გაღება დაგვჭირდეს.

24 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

2023 პარასკევი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

წამებულ მისიონერთა ხსოვნისათვის
ლოცვისა და მარხვის დღე

ჭეშმარიტია ჩემი მომავლინებელი იო 7,28

ზოგიერთი იუდეველი ისე საუბრობს
იესოზე, თითქოს კარგად იცნობდეს მას.
იესომ იცის, რომ ისინი ცდომილებაში
არიან, ამიტომაც ცდილობს გონება გაუ-
ნათოს და გაუცხადოს მათ თავისი ნამ-
დვილი ვინაობა - ზეციერი მამის ძე, ვინც
წუთისოფელს კაცთადმი სიყვარულის
გასაცხადებლად მოევლინა.
მადლობა, იესო, რამეთუ შენი ამქვყნი-
ური მოსვლით, მეც შემიძლია ჭეშმარი-
ტებაში ცხოვრება. გულით მინდა მიგიღო
და შეგიყვარო.

25 მარტი

2023

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული (+1289), წამებული

შ ა ბ ა თ ი

ეს 7,10-14; 8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მადლი ჰპოვე ღმერთთან ლკ 1,30

რა მადლი ჰპოვა მარიამმა? ის, რომ სულიწმიდის მიერ თავის წიაღში და ცხოვრებაში ჩაესახა იესო. მადლობა, მამაო, რამეთუ მეც მიბოძე წყალობა, რომ ჩემს გულში ჩავსახო იესო და მისი რწმენით გავხდე შენი შვილი.

ღვთისმშობელო მარიამ, გვიმეოხე, რათა მისი მხიარული მოწმენი ვიყოთ ამ წუთისოფელში.

26 მარტი

დიდმარხვის V კვირადღე, «ა», [I], ი

2023 ᲙᲕᲘᲠᲐ

ეზ 37,12-14; ფს 129; რომ 8,8-11; იო 11,1-45

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე იო 11,25

მთელ მსოფლიოში ვხედავთ რაოდენ სუსტი და მერყევია ადამიანის ცხოვრება. მადლობა უფალს, ამ სინათლისთვის. ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ, რომ ვიცხოვროთ მასთან ერთობაში, მის ეკლესიაში: არასოდეს ვიხილავთ სიკვდილს!

27 მარტი

დიდმარხვის V კვირა [V], ი

2023 ორშაბათი

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,1-11

არც მე გდებ მსჯავრს იო 8,11

ამ სიტყვებს მიუგებს იესო ცოდვილს: „არც მე“, ვინაიდან მან შეძლო ბრალმდებელთა სასჯელი აერიდებინა მასზე. სხვისი გმობის წუთებში, ვგრძნობ როგორ ელის იესოს ჩემგან ამ სიტყვების გამეორებას: „არც მე...“. და მაშინვე ქვას ხელს ვუშვებ და იესოს ვიხმობ, რომ ხელი გამოიღოს ჩემი და სხვების გადასარჩენად.

28 მარტი

2023 სამშაბათი

რიცხვ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

რაც მამამ მასწავლა,
იმას ვლაპარაკობ იო 8,28

იესო მუდამ შეიგონებდა მამის დარიგებებს და ემორჩილებოდა მას, მუდამ მამის ნების თანახმად საუბრობდა და მოქმედებდა. რატომ? რადგან თავად უყვარდა და გრძნობდა მის სიყვარულს. ამაში არასოდეს შეჰპარვია ეჭვი, მაშინაც კი, როცა ამ სიყვარულმა ჯვრამდე მიიყვანა. მეც ვგრძნობ რარიგ ვუყვარვარ უფალს: და მეც ნდობითა და მორჩილებით ვპასუხობ.

29 მარტი

2023

დიდმარხვის V კვირა [V], ი

(16.III) წმმ. ღიხსნი პიმენ საღოსი და ანტონ მესხი, XIIIს

ოთხშაბათი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; დან 3,52-56; იო 8,31-42

თუ მე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით იო 8,36

მადლობა, იესო, რამეთუ მეც მიბოძე ამ სიტყვის ჭეშმარიტება. როდესაც შენი წყალობით დავიცავი შენი მცნებები, თვით განსაცდელის ჟამს, უხვად ვპოვე თავისუფლება და სიხარული, რაც შემ-დგომ ჩემს ძმებს გავუზუარე.

30 მარტი

2023

დიდმარხვის V კვირა [V], ი

ხუთშაბათი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

აბრაამს... ეხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს იო 8,56

აბრაამი იმ ადამიანთა ნიმუშია, ვისაც ღვთის აღთქმების მაშინაც სჯერა, როცა მისი შესრულება შეუძლებლად მოსჩანს. საინტერესო ისაა, რომ იგი ამის ხროცშესხმას იხილავს არა სიცოცხლეში, არამედ შემდგომ: იესო ნამდვილი ისააკია, ღმრთისაგან აღთქმული ძე; ძე რომელიც არა მხოლოდ სათავეს დაუდებს დიდ შთამომავლობას, არამედ მარადიულ სიცოცხლეს უბოძენს მთელს კაცობრიობას. გეთაყვანები, იესო, მამის მარადიულო ძევ, ვისაც საუკუნეების მანძილზე ელოდა ისრაელის ყველა მართალი.

31 მარტი

2023

დიდმარხვის V კვირა [V], ი

პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

ბევრი კარგი საქმე გაჩვენეთ მამისგან იო 10,32

იესოს ჩაქოლვას აპირებდნენ! მან იცოდა, რომ მხოლოდ მამის სიყვარულის საქმეებს ასრულებდა, როგორც მისი ჭეშმარიტი ძე, მასავითი სიყვარულის ღმერთი! მას არ შეუძლია ამის უარყოფა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. მეც ვიღებ გამბედაობას, იესო: მეც ვიცხოვრებ როგორც შენი ძმა, როგორც მამის ძე, თუნდაც ეს დიდ ძალისხმევად დამიჯდეს და თუნდაც ამისათვის მდევნონ.